ს. რ. ბოლრბაძე

ბაბრატის ტაძარი

ისტორიულ-არქეოლოგიური
აოწერა.

თ ფ ი ლ ი ს ი
სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.
1 9 1 1

ბაგრატის ტაძარი

I

ტაძარი და მისი მნიშვნელობა.

უუხუცესი ჯ უტურფესია ქუთაისი საქართველოს ქალაქთა შორის [1]); თვალისა და გულის დამატყვევებელია, თვისის საედემო მიდამოებით, მისი უუძველესი საისტორიო ნაწილი „უხიმერიონი“ ანუ „არქიელის გორაკი“ [2]); მაგრამ ყველაზე უფრო ტურფა, გულის წარმტაცი და გონების დამატყვევებელია ამ გორაკის ის ნაწილი, რომელსაც ციხე და **ბაგრატის ტაძარი** ამშვენებს. თუ შეიძლება ითქვას: „ვისაც ქუთაისი არ უნახავს, მას არც იმერეთი უნახავსო“, მით უმეტეს სამართლიანი თქმა იქნება: „ვისაც ბაგრატის ტაძარი არ უნახავს, მას არც ქუთაისი უნახავსო“.

ბაგრატის ტაძრის მნიშვნელობა თავდაპირველათ, რა თქმა უნდა, მის ხუროთმოძღვრებითს ღირსებაზე, საარქიტექტურო სიმდიდრეზეა დამყარებული: ამ მხრით, როგორც სპეციალისტები მოწმობენ, მას მთელს კავკასიაში ბადალი არ

---

[1]) ქუთაისს პირველათ იხსენიებს აპოლონი როდოსელი (ცხოვრობდა 250—200 წელს ქრ. წინ) თავის „Argonavtica“-ში, უწოდებს მას „კიტაის“-ს და მის არსებობას მიაწერს კოლხიდის მეფის აეტის დროს, ე. ი. 14 საუკუნეს ქრ. დაბადებამდე. იხ. К. Ганъ—Извѣстія греч. и рим. писателей о Кавказѣ, ч. I, Тифлисъ, 1884 г., стр. 48; ალ. ჭყონია—„ისტორ. ნარკვ.“, ტფ. 1890, გვ. 28—36.

[2]) ამ გორაკს „უხიმერიონს“ ეძახის ქრ. შემდეგ მე-6 საუკ. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. Dubois de Montpereux—Voyage autour du Caucase, t. ḟ, p. 398.

მოეპოებოდა [1]); მაგრამ, ამასთან ერთათ, ბაგრატის ტაძარს ჩვენ—ქართველებისთვის სხვა უდიდესი მნიშვნელობაც აქვს: მისი საფუძვლის ჩაყრა და დამთავრება ისეთს ეპოქას ეკუთვნის, რომლის მსგავსი ხშირათ არ მეორდება ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში.

აფხაზ-იმერთა პირველმა ბაგრატიონმა მეფემ, **ბაგრატ მე-III-ემ** [2]), მეათე საუკუნის 80-იან წლებში მემკვიდრეობით მიიღო მისი წინამორბედი მეფეებისაგან (აფხაზ-იმერთა მეფეების: ლეონისა, გიორგი I-ისა, კონსტანტინესი და გიორგი II-ის) ნახევრათ განხორციელებული საქმე საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებისა [3]), თვით შეიქმნა ამ გაერთიანებ ს

[1]) ფრანგის მეცნიერ-მოგზაური, დიუბუა დე მონპერე, რომელმაც ეს ტაძარი წარსული საუკუნის 30-იან წლებში ინახულა და აღწერა, მას ეძახის: „L'un des plus beaux monuments de la Géorgie". იხ. მისი „Voyage autour du Caucase".... ტომი I, პარიზი, 1839 წ., გვ. 412.—ხოლო რუსის მკვლევარი აკადემიკოს-არქიტექტორი ა. მ. პავლინოვი, რომელმაც ამავე ტაძრის გეგმა ღრმათ შეისწავლა და ყველაზე უკეთ შეიგნო, მას უწოდებს: „Самый богатый памятникъ Кавказской архитектуры". იხ. Матеріалы по археологіи Кавказа..., вып. III, Москва, 1893 г., стр. 30.

[2]) მეფობდა 980—1014 წელს.

[3]) ლეონ-მეფემ († 806 წ.), როგორც ვიცით, დაიპყრო მთელი იმერეთი ლიხამდე და სატახტო ქალაქად ქუთაისი გამოაცხადა 786 წელს.—გიორგი I-მა და კონსტანტინემ († 921 წ.) ქ ა რ თ ლ შ ი განამტკიცეს აფხაზ-იმერთა მეფის მფლობელობა, ხოლო გიორგი მე-II-მ († 955) იგივე ქართლი და კ ა ხ ე თ ი ც აფხაზ-იმერთა სამეფოს შეუერთა. იხ. დიმ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი", ტფ. 1889 წ., გვ. 274—275. აფხაზ-იმერეთის მეფე თევდოსი მე-II უმემკვიდროთ გადაშენდა: ქვეშევრდომებმა სისასტიკისათვის იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მეფედ მიიწვიეს მისი დისწული, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონის გურგენის შვილი, ბ ა გ რ ა ტ ი, რომელიც აფხაზეთში იწყებს ახალს—ბაგრატიონთა დინასტიას.

სრულ-უფლებიანი გამომხატველი და მძლავრათ შემოხაზა სრულიად საქართველოს პოლიტიკური საზღვრები, რომელნიც შემდეგი დროის მეფეებმა დაიცვეს, განავრცეს და განამტკიცეს.

ბაგრატ მე-III-ის უახლოეს მემკვიდრეთა შორის ჩვენთვის უფრო საყურადღებო **ბაგრატ მე-IV-ეა** [1]), რომლის დროსაც საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა სრული კანონიერი დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისაგან, ანუ, როგორც მსოფლიო კანონისტი და პატრიარქი ვალსამონი მოწმობს, შეიქმნა „თავისუფალი და ავტოკეფალური“ [2]).

და, აი, ამ ორი დიდებული მეფის სახელთანაა შეკავშირებული ბაგრატის ტაძრის ისტორია: ბაგრატ მე-III-ეს მისი საფუძველი ჩაუყრია, ხოლო ბაგრატ მე-IV-ეს იგი დაუმთავრებია და შეუმკვია.

აქ იგი გამეფდა 980 წელსა, ხოლო ქართლში 985 წელს. იხ. იქვე, გვ. 275.

[1]) მეფობდა 1027—1072 წელს.

[2]) საქართველოს ეკლესიამ, როგორც ვიცით, თავისუფლების სამი საფეხური გაიარა: ვახტანგ I-ელის დროს, მე-V საუკუნეში მან **კათალიკოზი** მოიპოვა; მე-VII საუკუნეში, ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს, შეიძინა უფლება კათალიკოზის **ადგილმბრივ არჩევისა და კურთხევისა**, ხოლო მე-XI საუკუნეში, ვალსამონის მოწმობით, ანტიოქიის პატრიარქის პეტრე მე-III-ის დროს (1053—1050 წ.), იგი შეიქმნა სრულიად თავისუფალი. იხილ. „Правила святыхъ вселенскихъ соборовъ съ толкованіями Зонары, Аристина и Вальсамона“, т. I, изд. Московск. о-ва любителей духовн. просвѣщенія, Москва, 1877 г., стр. 86. შეადარეთ მღვდ. კალ. ცინცაძის გამოკვლევა „Автокефалія церкви грузинской“, Тифл., 1905 г.; აგრეთვე ჩვენი საისტორიო წერილი: „Къ вопросу объ автокефаліи Грузинской церкви“, ჟურნალი „Кавказскій край“ იმავე 1905 წლისა, N N 4 და 7.

მაგრამ, ვაფასებთ კი ამ შესანიშნავს ნაშთს?

არა თუ არ ვაფასებთ, არც კი ვიცნობთ! და არ ვაფასებთ, უმთავრესათ, მიტომ, რომ არ ვიცნობთ.

ჩვენი წერილის მიზანია, მკითხველს ამ ტაძრის მოკლე ისტორია და გეგმა გავაცნოთ.

II

ტაძრის ისტორია.

ქართული კულტურის უუბრწყინვალეს ხანად მე-11—12 საუკუნე ითვლება. ამავე დროს ეკუთვნის ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო პერიოდიც [1]). ამ პერიოდში საქართველო მრავალის მშვენიერი საეკლესიო ძეგლით მოიფინა, რომელთაგან ბევრი ჩვენს დრომდისაც შენახულა, თუმცა უმრავლესობისათვის დროსა და კაცის ხელს განადგურების დაღი დაუსვამს. ამ ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის ქუთაისის ტაძარი.

ქუთაისის ტაძრის აგება დაიწყო მეფემ ბაგრატ მე-III-მ, და 1003 წელს ტაძრის იატაკი უკვე სრულიად იყო მოთავებული. ამას მოწმობს ჩრდილოეთის კედლის ერთ-ერთი ფანჯრის (სამკვეთლოსთან) გარეგანი წარწერა, რომელიც ასე იკითხება:

„ქ. ϩ მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო! უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კუროპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა მათით დედით, დედოფლით და ძით მათით. ამინ.“ ხოლო იმავე ფანჯრის მეორე მხრით წარწერის გაგრძელება ამბობს: „ქ. ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223“, ე. ი. 1003 წელი ქრ. შემდეგ [2]).

---

[1]) ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის დაყოფა პერიოდებად იხ. ნ. პ. კონდაკოვის „Древняя архитектура Грузіи“, Москва, 1876 г., стр. 58—59.

[2]) ამ წარწერის ქორონიკონი „223“ არაბული ციფრებითაა წარ-

ამ წარწერას მრავალი ევროპელი მეცნიერი მოუყვანია განცვიფრებაში, რადგან აქ არაბული ციფრები გაცილებით უფრო ადრეა ნახმარი, ვინემ სადმე ევროპაში [1]): როგორც ვიცით, დასავლეთ ევროპაში ამ ციფრების ხმარება მე-XII საუკუნიდან დაიწყეს, ხოლო რუსეთში პეტრე დიდის დროიდან [2]). სჩანს, ქართველებს ძლიერ ადრე შეუთვისებიათ რიცხვთა გამოხატვის ინდო-არაბული სისტემა. და ეს არც გასაკვირველია, რადგან მე-VII საუკუნიდან თითქმის მე-X საუკუნემდე ქართველები არაბთა მფლობელობაში იმყოფებოდენ და ამ განათლებულის ხალხისაგან მრავალი სასარგებლო ცოდნა შეიძინეს, მაგალითად: მკურნალობა, მათემათიკა, ასტრონომია და სხვანი.

ბაგრატ მე-III-მ ვერ მოასწრო ამ ტაძრის დამთავრება. ეს საქმე წილად ხვდა მის შვილი-შვილს ბაგრატ მე-IV-ეს, რომელმაც ბიზანტიიდან დაიბარა ოსტატები და ხუროთმოძღვრები [3]) და ქართველი მუშების მიერ დაწყებული საქმე

წერილი, დანარჩენი ტექსტი კი ლამაზი ასომთავრული ხუცურია. ამ წარწერის ტექსტი გადმოგვცა მღვდელმა პოლიევქტოს კარბელაშვილმა, რომელსაც იგი იმერეთ-სვანეთში მოგზაურობის დროს გადმოეწერა ტაძრის კედლიდან, ქარაგმებითა და ორიგინალის მართლწერით. ჩვენ აქ ქარაქმები გავხსენით და არც ძველი მართლწერა დაგვიცავს.—უგულითადეს მადლობას ვწირავთ მ. კარბელაშვილს აღნიშნული დავალებისათვის.

[1]) Dubois de Montpéreux—Voyage autour du Caucase..., ნაწ. I, გვ. 418.

[2]) შეად. ბროკგაუზ-ეფრონის პატარა ენციკლოპედიური ლექსიკონი, ნაწ. IV, გვ. 1997, სიტყვა. „Цифры“, Спб. 1909 г.

[3]) ბაგრატის მიერ ოსტატების მოწვევა ბიზანტიიდან, ბროსეს ანგარიშით, 1032 ან 1033 წელს უნდა მომხდარიყო, რადგან ჩვენი ისტორია ამ ფაქტს საბერძნეთიდან ელენე დედოფლის მოყვანასთან აკავშირებს, ხოლო ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ III-ის ძმისწული ელენე ბაგრატმა ცოლად 1032—1033 წელს მოიყვანა. იხ. Histoire de la Géorgie ნაწ. I, გვ. 315, შენიშვნა 2.

ბრწყინვალეთ დააგვირგვინა. სამწუხაროთ, არ ვიცით დანამ-დვილებით, სახელდობრ რომელ წელს დაუმთავრებიათ ეს დიდებული ტაძარი.

ვიცით მხოლოდ, რომ იგი ნაკურთხი იყო ყოვლად წმინ-დის (ღვთის მშობლის) სახელობაზე და ძველათ გურია-იმერე-თის ეპარქიის საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა. [1]). იმერე-თის მეფეთა გვირგვინის კურთხევაც ამ ტაძარში სწარმოებდა: ქუთათელი ეპისკოპოზი ადგამდა გვირგვინს, როცა მეფე ტახტზე ავიდოდა [2]).

ვიცით, აგრეთვე, რომ ეს ტაძარი იმავე ეპოქაშია აშე-ნებული, რომელსაც კიევის წმ. სოფიოს ტაძრის აშენება ეკუთვნის, და, თუმცა ორივეს ბიზანტიელი ოსტატ-ხუროთ-მოძღვრები აშენებდენ, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, კიევის ტაძარი სიმშვენიერითა და სიდიდით ძლიერ შორს იდგა ქუთაისის ტაძრისაგან: პირველი უკანასკნელს ვერ შე-ედრებოდა [3]).

დღეს ეს ტაძარი დანგრეულია: 1691 წელს იგი ოსმა-ლებმა დააქციეს [4]); მაგრამ თვით მისი ნანგრევებიც დიდებულ სურათს წარმოადგენს. მნახველს არ შეუძლია გულის-ტკივი-ლითა და წყევლა-კრულვით არ მოიგონოს ის ბარბაროსული ხელი, რომელმაც ეს დიდებული შენობა დაასახიჩრა.

[1]) ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „აქ აღაშენა 63 მეფემან ბაგრატ ყ ო ვ ლ ა დ-წ მ ი დ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ა შვენიერი...; დასვა ეპისკოპოსი, მ წ ყ ე მ ს ი ი მ ე რ ე თ ი ს ა და გ უ რ ი ი ს ა, თვინიერ რაჭა-ლეჩხუმისა. ზის აწცა და არღარა ეგდენითა სამწყსოთი“. იხ. მისი „საქართველოს გეოგრაფია“, ტფილისი, 1904 წ., გვ. 280.

[2]) დიმ. ბაქრაძე „Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства“, стр. 86.

[3]) Dubois de Montpéreux, loc. cit., p. 419.

[4]) მაშასადამე წელს (1911 წ.) 220 წელი სრულდება, რაც ეს ტა-ძარი დანგრეულია.

III

ტაძრის გეგმა.

ახლა თვით ტაძრის გეგმას გავეცნოთ [1]).

ბაგრატის ტაძრის ძირითადი გეგმა ჯვარის სახეს წარმოადგენს. მისი უდიდესი ნაწილი ანუ ნაოსი (ხომალდი) დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის მიმართული, უმცირესი ნაწილი კი (ტრანსეპსი) პირველს ეარდი-გარდიგადასჭრის, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. პირველს ერთად-ერთი კარი ჰქონდა, სახელდობრ, დასავლეთისა, ხოლო მეორეს ორი: სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. დასავლეთის კარი დანარჩენებზე უდიდესი იყო და ტაძრის უმთავრეს ბჭეს წარმოადგენდა [2]).

1. ამ კარიდან მლოცველი შედიოდა ტაძრის დასავლეთის ნაწილში, რომელსაც არქიტექტურაში „**ნართეკსს**“ ეძახიან, დღევანდელი ქართველები კი უფრო „საქალებოს“ სახელით იცნობენ [3]). ბაგრატის ტაძარში ეს ნაწილი ორ-სართულიანი იყო და აქეთ-იქით, გვერდებში, ორი განყოფილება ჰქონდა. ეს განყოფილებანი ტაძრის შემდეგ ნაწილისაგან კედლებით იყვენ გაყოფილი.

[1]) ჩვენ ამ ჟამად ხელში გვაქვს ბაგრატის ტაძრის სამი გეგმა: ერთი ბროსესი, მეორე დიუბუასი და მესამე პავლინოვისა. უკანასკნელი თავისუფალია ორი პირველის შეცდომებისაგან და, ამიტომ, ჩვენც უმთავრესად მას ვემყარებით. იხ. Матеріалы по археологіи Кавказа, вып. III, Москва, 1893 г., стр. 30 (ბროსეს გეგმა), 31 (დიუბუასი), 52 (პავლინოვისა).

[2]) ჩვენ სალ:ში გვაქვს ტაძრის უმთავრესი კარები და გეგმაზედაც მათ-ნი ისინია დახატული. ამათ გარდა ტაძარს დღეს აქვს კიდევ სამხრეთის კედლის დასავლეთის კუთხეში პატარა კარი, რომელიც გეგმაზე არაა აღნიშნული. ამ კარით, ალბათ, საქალებოს სამხრეთის განყოფილებაში შედიოდენ.

[3]) ეს ნასილი გეგმაზე აღნიშნული გვაქვს დიდი ციფრებით 1, 1, 1.

2. ამ კედლების აღმოსავლეთით იწყებოდა ტაძრის მეორე ნაწილი ანუ „**შუა-ტაძარი**“, რომელიც შეიცავდა მთელს „ტრანსეპსსა“ და „ნაოსის“ უდიდეს ნაწილს [1]).

ტაძრის ეს ნაწილი ექვსის დიდისა და ორი პატარა სვეტით იყო შემკობილი [2]). ოთხს დიდ სვეტს ტაძრის შუაგული ეჭირა და ზედ გუმბათის საფუძველი იყო დაყრდნობილი; მეხუთე და მეექვსე სვეტი ნართეკსისაკენ მდებარეობდა; დანარჩენი ორი პატარა სვეტი ტაძრის მესამე ნაწილის წინ იყო ამართული. ამ პატარა ბოძების გასწვრივ, სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ, დაბალი კედელი (კანკელი) იყო ამართული, რომელიც შუა-ტაძრის აღმოსავლეთის საზღვარს შეადგენდა.

3. ამ ბოძებისა და კედლის აღმოსავლეთით მდებარეობდა ტაძრის მესამე ნაწილი [3]), რომლის იატაკი სამი საფეხურით იყო ამაღლებული დანარჩენი ნაწილების იატაკზე. ამ ნაწილს საერთოთ შეგვიძლია „**საკურთხეველი**“ ვუწოდოთ. იგი, თავის მხრით, სამად იყო გაყოფილი; შუა განყოფილებაში ტრაპეზი იდგა, რის გამოც ქართველები თვით ამ განყოფილებასაც ტრაპეზს ეძახიან; ჩრდილოეთით „სამკვეთლო“ იყო, სადაც საევქარისტიო ნაწილების შემზადება ანუ პროსკომიდია სრულდებოდა; ხოლო სამხრეთის განყოფილება „სალაროს“ წარმოადგენდა, სადაც საეკლესიო შესამოსელსა და პურჭელ-სამკაულს ინახავდენ. სამსავე განყოფილებას აღმოსავლეთისაკენ ნახევარ-წრის მოყვანილობა ჰქონდა, რასაც „ნიში“ ეწოდება. სამსავე ნიშს თითო ფანჯარა ჰქონდა დატანებული აღმოსავლეთისაკენ.

ამგვარათ, ბაგრატის ტაძარი წარმოადგენდა მოგრძო,

[1]) გეგმაზე შუა-ტაძარი აღნიშნული ვვაქვს დიდი ციფრებით: 2, 2, 2, 2.

[2]) ეს სვეტები პატარა ციფრებით გვაქვს ანუსხული: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

[3]) ეს ნაწილი გეგმაზე დიდი ციფრებითაა აღნიშნული: 3, 3, 3

ჯვარისახე, გუმბათიან შენობას, რომელიც სამ უმთავრეს ნაწილად იყო გაყოფილი: ნართეკსად, შუა-ტაძრად და საკურთხევლად. უფრო სპეციალური ტერმინები რომ ვიხმაროთ და აზრიც სისწორით გამოვთქვათ, ქუთაისის ტაძრის გეგმა წარმოადგენდა **„განვითარებულის** ცენტრალური გეგმის შეერთებას ბაზილიკურს გეგმასთან“ [1]).

IV
ტაძრის მორთულობა.

ტაძრის კედლები შინაგანი მხრიდან რიყის ქვითა და დუღაბით იყო ნაშენები და დულაბითვე გალესილი, ხოლო გარედან თლილი ქვის „პერანგი“ ჰქონდა ჩაცმული. ამ პერანგის თლილ ქვებს შორის ზოგიერთებს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი მათის სიდიდით.

ყოველი სვეტი ერთმანეთთან და კედლებთან რკალ-თაღებით ანუ არკებით იყო დაკავშირებული, ხოლო ამ არკებზე ცა-კამარები და ნახევარ-კამარები იყო გადმოყვანილი. ამ კამარების ნაშთი, ჩუქურთმიანი ქვები, დღესაც იპოვება ტაძრის ნანგრევთა შორის.

სვეტები ანუ კოლონები მრგვალი მოყვანილობისა იყო და ლამაზის ჩუქურთმიანი თავებით (კაპიტელით) შემკობილი. ეს თავები დღესაც დაცულია ტაძრის ნანგრევთა შორის და თავისის უხვის ფოთლოვანის და ქართულის წნული-ჩუქურთმით აღტაცებაში მოჰყავს მნახველები. ალაგ-ალაგ ამ ფოთლოვანსა და წნულ ჩუქურთმებში ცხოველთა სახეებიც გვხვდება. მაგრამ, საზოგადოთ, კაპიტელების უმთავრეს სამკაულს ორიგინალური **წნული ჩუქურთმა** შეადგენს.

როგორც სპეციალისტები მოწმობენ, ჩუქურთმის ეს

[1]) პავლინოვის აზრით, იხ. Матер. по ахр. Кавказа, вып. III, стр 45. კურსივი ავტორისაა.

დარგი საეკლესიო არქიტექტურაში არსად იმ ზომამდე არ ყოფილა განვითარებული, როგორც საქართველოში. ამიტომაც ამგვარს სატაძრო ორნამენტს არქიტექტურაში „ქართული წნული“ უწოდეს.[1]) მართლაც, ქართული ტაძრების ჩვეულებრივი სამკაული ეს წნულია[2]). ამგვარისავე სამკაულით ყოფილა უხვათ მორთული ბაგრატის ტაძრის შინაგანი და, განსაკუთრებით, გარეგანი ნაწილები. შიგნივ, სვეტის თავებს გარდა, ამგვარი ჩუქურთმით. უნდა ყოფილიყო მორთული

---

[1]) ამ ორნამენტის გამო ნ. პ. კონდაკოვი ამბობს: „Нужно отдать полную справедливость грузинскому искусству, что оно съумѣло самымъ широкимъ образомъ воспользоваться этою формою и, за отсутствіемъ другихъ пластическихъ украшеній, разработать ея виды полнѣе всѣхъ мѣстностей, гдѣ только эта форма ни являлась; ни въ собственной Византіи, ни въ мѣстностяхъ, гдѣ находимъ отсадокъ ея искусства,— напр. въ сѣверной Италіи, а особенно въ Венеціи,—ни въ Сербіи, ни въ Росіи, нигдѣ не встрѣчаемъ мы такой полной разработки. Исключеніе составляетъ Ирландія, которой архитектурная орнаментика столь походитъ на грузинскую.... Но формы грузинскаго плетенія, даже въ сравненіи съ ирландскими, имѣютъ первенствующее значеніе: его характеръ болѣе правиленъ, рисунокъ орнаментовъ ясенъ, назначеніе и смыслъ рисунка всегда соотвѣтствуютъ монументальнымъ цѣлямъ и никогда не подчиняются хаотическому произволу воображенія и игрѣ формами“ (იხილეთ Н. П. Кондаковъ. Древняя архитектура Грузіи. Москва, 1876 г., стр. 50). კურსივი ჩვენია.

[2]) ეს წნული ჩუქურთმა გამოიყენეს „ვეფხის-ტყაოსნის“ სამკაულად მისმა რედაქტორ-გამომცემლებმა 1888 წელს. იხ. ქართველიშვილის გამოცემის ბოლოსიტყვაობა, გვ. 359. ამ გამოცემის „არშიები, სათაური ასოები და საბოლოები“ ქართული წნულის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა.

საკურთხევლისა და შუა-ტაძრის გამყოფი დაბალი კედელი ანუ კანკელი, რომელსაც, სამწუხაროთ, ჩვენამდე არ მოუწევია. ხოლო გარედან ჩუქურთმით უხვათ დაფენილი ყოფილა კარებისა და ფანჯრების ჩარჩოები და კარნიზები, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის კედელი.

ტაძრის შინაგანს სამკაულს შეადგენდა კედლის მხატვრობა, რომლის ნაშთი დღესაც ემჩნევა სამხრეთის კარის თავზე და რომლითაც მორთული ყოფილა ნიშები, კამარები და კედლები. ამას გარდა, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოწმობს, ბაგრატის ტაძარი „სოფიის კენკეთაც“ (მოზაიკით) და თეთრის, წითელისა და ჭრელი მარმარილოთი ყოფილა საუცხოოთ შემკული [1]).

ასეთი ყოფილა ტაძრის შინაგანი მორთულობა. რაც შეეხება მისი კედლების გარეგან მხარეს, ზემოთ დასახელებულ წნულ სამკაულს გარდა, მის ფრიად საყურადღებო მორთულობას შეადგენდა ტაძრის ფასადებზე მწყობრათ ჩაყოლებული, „პერანგის“ ქვებზედვე ამოჩუქურთმებული, გრძელი ლამაზი ჩარჩოები წვრილის მაღალი რკალ-სვეტებისა. ამგვარი რკალ-სვეტოვანი ჩარჩო, მაგალითად, დასავლეთის კედელზე ხუთი იყო, ხოლო სამხრეთისა და ჩრდილოეთისაზე ათ-ათი; აღმოსავლეთის ფასადი კი უფრო უხვათ ყოფილა მორთული ამ სამკაულით [2]).

ტაძრის სახურავი თუმცა ღღეს აღარ არსებობს, მაგრამ, ეტვს გარეშეა, მისი ფორმა იგეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც გვხვდება, საზოგადოთ, იმავე პერიოდის ქართულ ეკლესიებზე; სახელდობრ, იგი იქნებოდა თლილი ბრტყელ-ბრტყელი ქვებისა ორ-ორ ფრთად (იქით და აქეთ) გადაკიდებული.

---

[1]) საქართვ. გეოგრაფია, გვ. 280.

[2]) ქართული ტაძრების ფასადებზე და მათ მორთულობაზე იხ. Н. Кондаковъ. Древн. архит. Грузіи, стр. 40—44.

ტაძრის ნანგრევებს შორის დარჩენილია გუმბათის ერთი ჩუქურთმიანი ქვა, ფანჯრების პატარა რკალ-თაღები და პატარა სვეტების ნაწილები. ამ ნაშთების მიხედვით შესაძლო ხდება დავასკვნათ, რომ ტაძრის თავი შემკული ყოფილა თორმეტ-კუთხიანის და თორმეტ-ფანჯრიანი გუმბათით, რომლის „ჩაბალახიც“ (კონუსი-სახურავი) აგრეთვე თორმეტ-კუთხედიანი უნდა ყოფილიყო [1]). ესევე ნაშთები გვიჩვენებს, რომ გუმბათი, როგორც უფრო გამოსაჩენი ნაწილი სახურავისა, ბაგრატის ტაძარს მდიდრათ ჰქონია მორთული წნული ორნამენტით, ლამაზი რკალებითა და პატარ-პატარა სვეტებით.

V

დ ა ს კ ვ ნ ა.

ასეთი იყო ბაგრატის ტაძრის გეგმა და შინაგან-გარეგანი მორთულობა. როგორც სჩანს, შინაგანი მორთულობა მას უფრო ბიზანტიური ჰქონია, მაგრამ გარეგანი სამკაული და გეგმის მრავალი საგულისხმო მხარე—ადგილობრივი ქართული. იგი წარმოადგენდა ჰარმონიულს შეერთებას ყოვლისავე იმისას, რაც კი საუკეთესო მოიპოვებოდა იმ დროს ქართულსა და ბიზანტიურს ხელოვნებაში, მაგრამ ქართული ელემენტი სჭარბობდა. ამიტომ სამართლიანათ იქ�ის მკვლევარნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ეს ტაძარი უფრო ქართულია, ვინემ ბიზანტიური [2]). ამ მხრით მისი მნიშვნელობა ჩვენ—ქართველებისათვის მეტათ დიდი და ფასდაუდებელია.

[1]) პავლინოვი, Матер. по археол. Кавказа, вып. III, стр. 39—40.

[2]) იქვე, გვ. 45: „Несомнѣнно храмъ этотъ имѣетъ и свои кавказскія, грузинскія особенности, свой особый складъ, какъ то алтарныя наши, плетеный орнаментъ и проч. Все это вмѣстѣ взятое не позволяетъ назвать этотъ храмъ чисто византійскимъ, но скорѣе грузинскимъ“... კურსივი ჩვენია.

ამიტომ ჭეშმარიტათ სატირალია ამ დიდებული საისტორიო ნაშთის დღევანდელი მდგომარეობა. უკეთ რომ ვთქვათ, სატირალნი ვართ თვით ქართველები, რომელნიც ამ საერო ძეგლისადმი ყოვლად შეუწყნარებელს გულგრილობას ვიჩენთ: ჩვენმა წინაპრებმა იგი **ააშენეს**, ჩვენ კი მისი **ნანგრევებისათვისაც ვერ მოგვივლია**!

„ეზო ტაძრისა წარმოადგენს საქონლის ფარეხს, ზღუდეები დანგრეულია და გალავანში თავისუფლათ დასეირნობენ ძაღლები, ღორები, ხარები და სხვა ცხოველებიო“,— ვკითხულობთ ყოვლადსამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსის, გიორგის მოწოდებაში ამ საგნის შესახებ.

ამ ჟამად ქუთაისში, ყოვლადსამღვდელო გიორგის თაოსნობით, შემდგარია წრე, რომელსაც განზრახვა აქვს ტაძარს ზღუდე შემოავლოს და მისი ეზო სამარცხვინო მდგომარეობისაგან დაიხსნას. ამ აზრით უკვე შემოწირულობაც იკრიბება*). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი ერის შეძლებული ნაწილი ამ საშვილიშვილო საქმისათვის თავის წვლილს არ დაიშურებს: „სხვა რომ არა იყოს რა, თავმოყვარეობამ მაინც არ უნდა მოგვცეს უფლება შეკირცხვინოთ თავი განათლებულ ხალხთა წინაშე, რომელნიც ხშირათ მოდიან ხოლმე ხსენებული ნაშთის დასათვალიერებლად“!



*) ამავე წოის საფასით და მოხდობილობით იბეჭდება ეს ჩვენი წიგნაკიც, რომლის შემოსავალი მთლათ ამავე საქმეს მოხმარდება.

ბაგრატის ტაძრის გეგმა